დამტკიცებულია
შპს „ქ. თბილისის საშუალო სკოლა ლამპარის“
დირექტორის ბრძანებით

შპს „ქ. თბილისის საშუალო სკოლა ლამპარის“
უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა

მუხლი 1.ზოგადი დებულებები

1. სკოლა ვალდებულია შექმნას შპს „ქ. თბილისის საშუალო სკოლა ლამპარის“ მოსწავლეების, მასწავლებლებისა და თანამშრომლების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემო სასკოლო დროს, აგრეთვე სკოლის ან/და მის მიმდებარე ტერიტორიაზე.
2. სკოლაში უსაფრთხოების დაცვის პროცედურები და მექანიზმები განისაზღვრება და რეგულირდება უსაფრთხოების პოლიტიკით, ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად სკოლის მიერ შემუშავებული „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობებით“ და სხვა საკანონმდებლო აქტებით.

მუხლი 2. მიზნები და პრინციპები

1. უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავების მიზანებია:
1.1. ბავშვთა უფლებების დაცვა და ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება;
1.2. სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება;
1.3. სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაზე ეფექტური რეაგირება;
1.4. ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფა;
1.5. სკოლის სტრუქტურული ერთეულების კოორდინირებული მოქმედების ხელშეწყობა;
1.6. საგანგებო სიტუაციების პრევენციის, მისთვის მზადყოფნის, საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის შემთხვევაში მასზე რეაგირებისა და აღდგენითი სამუშაოების წარმართვის წესს.

2. სკოლაში უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით სკოლა ახორციელებს:
2.1. საგანგებო სიტუაციების პრევენციას;
2.2. მზადყოფნის ღონისძიებების დაგეგმვას;
2.3. სკოლაში დაცული, უსაფრთხო, კეთილგანწყობილის გარემოს შექმნას;
2.4. ადეკვატური ინსტრუმენტების შექმნით ეფექტური მონიტორინგის სისტემის ამუშავებას სკოლაში ძალადობის პრევენციისათვის;
2.5. თითოეულ მოსწავლეში მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გაზრდას.

მუხლი 3. უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფორმები

სკოლაში მოქმედებს უსაფრთხოების უზრუნველყოფის შემდეგი მექანიზმები:

- სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- საზოგადოებრივი წესრიგისა და სკოლის ქონების დაცვა;
- სკოლის საგანგებო შტაბი;
- მოსწავლის ქცევის კოდექსის, მასწავლებელის პროფესიული ეთიკის კოდექსისა და სკოლის შინაგანაწესის დაცვის მონიტორინგი და დარღვევის შემთხვევაში შესაბამისი რეაგირების განხორციელება;

მუხლი 4. საგანგებო შტაბი

1. სკოლაში დირექტორის ბრძანებით შექმნილია საგანგებო შტაბი და დამტკიცებულია სკოლის საგანგებო სიტუაციის მართვის გეგმა.
2. გეგმის მიზანია ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან სკოლის მოსწავლეთა და თანამშრომელთა დაცვის საერთო ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების წარმართვა. ასევე, საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების, მისი განვითარების შემთხვევაში შედეგების შერბილებისა და ლიკვიდაციის ღონისძიებების შემუშავება და ორგანიზება.
3. საგანგებო სიტუაციის მართვის გეგმაში მოცემულია საგანგებო შტაბის ფუნქციები, საგანგებო სიტუაციების დროს გასატარებელი ძირითადი ღონისძიებების კალენდარული გეგმა.

მუხლი 5. სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა

1. სკოლის ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, ევაკუაციის პროცედურები, რომლის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, მოხდება შენობის უსაფრთხო დატოვება;
2. სკოლის ყველა სართულზე დამონტაჟებულია ცეცხლმაქრი ბალონები;
3. სკოლა მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შესაბამისად;
4. სკოლაში განსაზღვრულია სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი;
5. სკოლაში დამონტაჟებულია ხანძარსაწინააღმდეგო/კვამლსაწინააღმდეგო სისტემა და განსაზღვრულია ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების ექსპლუატაციაზე, ტექნიკურ მომსახურებაზე, მათ შეკეთებაზე, დაცვასა და გამოყენებისათვის მზადყოფნაზე პასუხისმგებელი პირი;
6. სკოლა პერიოდულად უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინსტრუქტაჟს სახანრო უსაფრთხოების წესებთან და პროცედურებთან დაკავშირებით;
7. ხანძრის შემთხვევაში, ხორციელდება შემდეგი მოქმედებები:
    - ხანძრის კერის შემჩნევის შემთხვევაში ეცნობება საგანგებო სიტუაციებზე პასუხისმგებელ პირს.
    - საგანგებო სიტუაციებზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია გააღოს საევაკუაციო გასასვლელი და დარეკოს გაბმული ზარი რითაც გააფრთხილებს შენობაში მყოფებს წარმოშობლი საფრთხის შესახებ;
    - ხანძრის შესახებ ხმოვანი სიგნალის (გაბმული ზარი) შემთხვევაში ყველასათვის სავალდებულოა შენობის დაუყოვნებლივ დატოვება პანიკის გარეშე;
    - სკოლაში მყოფი პირები ვალდებულნი არიან გაეცნონ ევაკუაციის მარშრუტს (იხ. ევაკუაციის გეგმა);
    - შენობიდან გასულები აუცილებლად უნდა შეგროვდნენ შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე უსაფრთხო ადგილას **(შეკრების ადგილი),** რათა დადგინდეს ის პირები, ვინც შენობაში დარჩნენ, მათ შესახებ უნდა ეცნობოს საგანგებო სიტუაციებზე პასუხისმგებელ პირს;
    - ევაკუაციის პროცესი იწყება იმ პირებით, რომელთაც არ სჭირდებათ სხვების დახმარება გარეთ გასასვლელად; ეს გამორიცხავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაშავებას ევაკუაციის დროს;

- ერთი ადამიანი (ადმინისტრაციის თანამშრომელი, მასწავლებელი) უნდა დარჩეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთან, რომელიც დაეხმარება შენობის დატოვებაში, მას შემდეგ, რაც სხვები დატოვებენ შენობას, სხვებმა კი მათი ადგილმდებარეობის შესახებ უნდა აცნობონ საგანგებო სიტუაციებზე პასუხისმგებელ პირს;
- შენობის დატოვებისას, შესაძლებლობის შემთხვევაში უნდა დაიკეტოს ფანჯრები და კარები, რაც ხელს შეუშლის ცეცხლის გავრცელებას;
- პირადი ნივთების წაღებისათვის დროის დაკარგვა დაუშვებელია;
- ევაკუაციის დროს შენარჩუნებული უნდა იყოს სიმშვიდე, რათა ყველამ მოისმინოს საგანგებო სიტუაციებზე პასუხისმგებელი პირის მითითებები, რომელიც ხელმძღვანელობს ევაკუაციის პროცესს;
- სკოლის ყველა საევაკუაციო გასასვლელი უნდა იყოს თავისუფალი. თუ გასასვლელები ჩახერგილია, სკოლაში მყოფი პირები უნდა განთავსდნენ შედარებით უსაფრთხო ადგილას, ეცადნონ დარეკონ სხვებთან და აცნობონ მათ თავიანთი ადგილმდებარეობის შესახებ, ხოლო შემდეგ დაელოდონ მაშველებს;
- დაუშვებელია შენობაში დაბრუნება საგანგებო სიტუაციებზე პასუხისმგებელი პირის ნებართვის გარეშე;
- უსაფრთხო სიტუაციაში აღმოჩენის შემთხვევაში უნდა შეატყობინონ საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრს ნომერზე 112.

8. სკოლის ექიმმა/ექთანმა უნდა უზრუნველყოს დაშავებულთათვის გადაუდებელი პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა.

მუხლი 6. წესრიგისა და სკოლის კუთვნილი ქონების დაცვა

1. სკოლას ჰყავს დარაჯი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში წესრიგის დაცვას;
2. სკოლის ტერიტორიაზე უცხო პირთა შესვლა დასაშვებია მხოლოდ დირექტორატის თანხმობით;
3. სკოლაში გაკვეთილების პერიოდში იკრძალება ყოველგვარი ხმაური დერეფნებში.
4. დაუშვებელია ნებისმიერი სახის კონფლიქტის გაღვივება, წახალისება, მასში ჩაბმა.
5. დაუშვებელია სკოლაში ალკოჰოლური ან ნარკოტიკული ნივთიერებების ზეგავლენის ქვეშ გამოცხადება, ნარკოტიკული და ალკოჰოლური ნივთიერებების მიღება.
6. დაუშვებელია უცენზურო, უხამსი გამონათქვამების გამოყენება და ამგვარი ინფორმაციის გავრცელება.
7. მოსწავლის მიერ სკოლის ტერიტორიის ვადაზე ადრე დატოვება დასაშვებია მხოლოდ მშობლის მიერ დამრიგებლის წინასწარი ინფორმირების და დირექტორის თანხმობის საფუძველზე. ასეთ დროს, სკოლის დარაჯის ინფორმირებას ახორციელებს სკოლის დირექტორი.
8. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში წესრიგისა და უსაფრთხოების საკითხების კონტროლისათვის დამონტაჟებულია უსაფრთხოების კამერები.

მუხლი 7. სკოლის შინაგანაწესის დაცვის მონიტორინგი

1. სკოლაში მუდმივად ხდება შინაგანაწესის დაცვის მონიტორინგი და დარღვევის შემთხვევაში შესაბამისი რეაგირება;

2. დისციპლინური გადაცდომის თაობაზე სკოლის დირექტორატის ინფორმირება შეუძლია ნებისმიერ პირს.
3. სკოლაში დისციპლინური დევნა ხორციელდება მხოლოდ ჯეროვანი და სამართლიანი პროცედურით.
4. სკოლის დისციპლინური გადაცდომისა და პასუხისმგებლობის სახეები რეგულირებულია სკოლის შინაგანაწესით, რომელიც გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

1. სკოლის უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკას ამტკიცებს დირექტორი ბრძანებით.
2. წინამდებარე წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული წესით.